ცნობის ფურცელი

№ 2127 კვირა, 20 აპრილი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2127

გაზეთის ფასი: წლიწადში—6 მან., ცალკე ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ყოვ.ი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.
ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში განჯის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. კამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზედ უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებ.ს გარდა, შუადღის 11—1-დე საათამდე.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

ამ ნომერთან ხელის მომწერთ ეგზავნებათ „სურათებიანი დამატების" მე-111 №-რი.

18 აპრილს ქუთაისში გარდაიცვალა

სოლომონ ნიკოლოოზის ძე ღულაძე

შვილები განსვენებულისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ამას ნათესავთა და ნაცნობთ. (1—1).

უმთავრესი კანტორა დ. ზ. სარაჯიშვილისა ქ. ტფილისში აცხადებს, რომ
საუკეთესო ვენახების

კახურის ღვინის

შესანახად და დასაძველებლად, 1903 წლის 1 იანვრიდან დაქირავებულია სარდაფები **პეტრუსა მაკაროვისა.** კანტორა და მაღაზია ღვინის ვაჭრობისა იმავე სახლშია (ოლღას ქუჩა, ტელეფონი № 150).

ღვინოები ისყიდება ბოთლი 25 კაპ. დაწყებული.

ნარდად მსყიდველთ და მუდმივ მუშტარს ნაკლებად მიეცემა; ათ ბოთლზე ნაკლები თუ არ მოითხოვა მუშტარმა, ღვინოს კანტორა სახლში თვითონვე მიუტანს.

ღვინო იყიდება:

საწყობში—გოლოვ. პროს. სახ. დობრჟანსკისა, ტელეფ. № 595.
დეპო № 1, სასახლის ქუჩა, საკუთარი სახლი, ტელეფ. № 60.
დეპო № 2, თავ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ ტელეფ. № 210.
კავკასიის აფიც. საზოგ., რკინის გზის მოხელეთა მომხმარებ. საზოგადოებისა, შაქიევისა, მანიევისა, აკოფოვისა და სხვა საგასტრონომიო მაღაზიაში. (0—14)

სეტყვის ამაცდენელი ზარბაზანი (მორტირა)
კელენის სისტემისა

„ი დ ე ა ლ"

სახალხთაშორისო კონგრესზე ლიონში **უმაღლესი საჩუქარი** მიუღია. მკვიდრად გაკეთებულია და ხმარებაც **სულ უშიშრად** შეიძლება. სრულიად რუსეთისათვის ერთად-ერთი წარმომადგენელია **პეტრე ყიფიანი** ტფილისში, ოლგინსკი ქუჩა, სახლი მაკაროვისა. **ტელეფონი 150.** ზარბაზნების საწყობი სარაჯევის სახლშია წყნეთის ქუჩაზე. (0—19)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დილით:

მ. მ. ტიტინაძე—კბილის სნეულებანი 9—10 საათამდე.

ნ. ტ. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.

მ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი: ორშაბათობით, ოთხშაბ. და შაბათობით 10—11 ს.-მდე.

ა. ა. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით.

ე. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

ა. მუსხელოვი:—თვალის ავადმყოფობა—ორშ. ოთხშ. და შაბათი $11^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$.

დ. ა. გედევანიშვილი, შინაგანი, ნერვების და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

მ. მ. მანსვეტოვი. შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: კვირაობით 10—12.

ზ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

ზრ. მ. სოკოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით 1—2 საათ.

საღამოთი:

ა. ა. მაღალაშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა.).

მუდმივი ექიმი **მ. დ. ნახარიძე.**

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კროვატები—სამ მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი ხაჯინაშვილისა, №-21. (აზიზის ქუჩის დასაწყისში.) ტელეფონი № 274 (წ.

კბილის ექიმი
ივანე პავლეს ძე
ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, 38. (წლ.

წიგნების გამომცემელ ქართველთა
ამხანაგობის

საზოგადო კრება

დანიშნულია ამხანაგობისავე სადგომში
(განჯის ქუჩა)

კვირას, 20 აპრილს, საღამოს 8 საათზე.

ეს კრება გაგრძელებაა 2 აპრილს შემდგარის საზოგადო კრებისა.

ცალკე მოსაწვევი ბარათები არავის არ გაეგზავნება, რადგან წევრთა უმრავლესობის ადრესები არ არის კანტორაში.

კრებაზე დასწრება შეუძლიანთ მხოლოდ წევრთ. (3—2)

წარმოდგენა 49—10. ტელეფონი 617.

ქართული თეატრი

კვირას, 20 აპრილს 1903 წ.

◆ იაფ-ფასიანი წარმოდგენა ◆

ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

✡ **დაკლებულის ფასებით** ✡

მეორედ ახალი პიესა.

I

მურად-ფაშა

ისტორ. დრამა 4 მოქ. ბ—ლისა, გადმოკეთებ. მეტერლინკის „მონნ-ვანადან".

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.
ადგილების ფასი დაკლებულია.
დასაწყისი საღამოს $8^{1}/_{2}$ საათზე.
მზადდება წარმოსადგენად „ოტელო".
რეჟისორი **მ. გუნია.**

ექიმი

ვ. ლამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, დიდი ბანკის [illegible]. **ტელეფონი 642**

დაიბეჭდა და დაურიგდა გასასყიდად ყველა
წიგნის მაღაზიებს
ახალი წიგნი

„ჩვენს დედებს"

პედაგოგიური წერილები ალექ. ნათაძისა
ფასი ხუთი შაური.

ადრესი: ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლა ალ. ოგ. ნათაძეს. (ე. 0—10)

რა ნიშანია სიჩუმე?

აგერ ამ ორიოდ კვირაში კრება მოხდება ამერეთის და იმერეთის თავად-აზნაურთა ტფილისსა და ქუთაისში. ორსავე გუბერნიის კრებაზე რამდენიმე საგანია გადასაწყვეტი და აქამდის კი არა ისმის-რა კანტი-კუნტად ორიოდე აზრის მეტი. ნუ თუ საზოგადო მნიშვნელობას მოკლებულია ზოგიერთი განსახილველი საგანი, რომ საქვეყნოდ იმაზე ლაპარაკი არა ღირს და მწერლობაშიაც ასე სიჩუმეს უნდა ვხედავდეთ.

ან იქნება თავად-აზნაურთა წარმომადგენლებს მეტ ბარგად მიაჩნდეთ მწერლობის დახმარება, პროექტების გარკვევა, საქვეყნოდ გამოტანა, აწონ-დაწონვა, საზოგადოების აზრის და მსჯელობის შეტყობა? ნუ თუ აქამდის ვერ მიმხვდარან, რომ საზოგადო საქმის გარიგებას საქვეყნო რჩევა ეჭირება? ამისთანა რჩევას ეხლა ბიუროკრატიული კანცელარიებიც კი საჭიროდ ხედვენ.

რას უნდა დავაბრალოთ ის გარემოება, რომ აქამდის არაფერი ისმის ჩვენს მწერლობაში, რა პროექტები აქვთ მომზადებული საზოგადო კრებებზე წარსადგენად, რომ თავად-აზნაურთა წოდება წინადვე რამდენადმე მომზადებული მოვიდეს საქმეების განსახილველად და გადასაწყვეტად.

ეს სიჩუმე უნდა მომდინარეობდეს ან იმისგან, რომ არ ენდობიან საზოგადოებას და ძალით აჩენენ შემზადებულ პროექტებს, ან შემზადებულის პროექტების სიმტკიცეზე ეჭვიანად არიან, ყურ-მოყრუებულნი არიან, რომ საზოგადოებაში მრავალ გვარი ლაპარაკი ისმის.

ამბობენ, რომ უმაღლესად დანიშნული ფული, მაგალითად, ტფილისის გუბერნიის თავად აზნაურობისათვის ჯერ ვერ გამოურკვევიათ, რა საგანს მოხმარდეს. როგორც წინადაც ლაპარაკი იყო, ტფილისშიაც და ქუთაისშიაც უნდათ მაღალ და შუა სასწავლებლებში სტიპენდიებზე გადასდვანო; ამასთან მეორე აზრია, რომ მოსწავლეთა პანსიონების მოწყობას მოახმარონ, მესამე აზრია ტფილისის გუბერნიაში, თელავის და გორის გიმნაზიებს ან პროგიმნაზიებს დაენიშნოთ, თუ მმართველობაც ინებებს ამ ქალაქებში გახსნას. ლაპარაკობენ იმაზედაც, რომ სასწავლებლის შენობას ითხოვენ, ეხლავე თავად-აზნაურობას გადაეცესო და დამხმარებელმა საზოგადოებამ ყოველი თავისი უფლება და ქონება თავად-აზნაურობის დაწესებულებას გადასცეს.

ნუ თუ ეს ამოდენა პროექტები ისე მოკლებულია საზოგადო მნიშვნელობას, რომ ამაზე ლაპარაკი არა ღირს საქვეყნოდ, ლიტერატურაში?

ან იქნება სულ არაფერი პროექტი და მოსაზრებაც არ არის შემუშავებული და სულ ეს ჭორებია, მოცლილ კაცების მოგონებული. თორემ როგორ დასაჯერებელია სადმე საზოგადო საქმეების გასარჩევად ხალხი ასე იყრებოდეს, რომ წინადვე არ მოიფიქროს, რა საგანზე ექმნება ლაპარაკი, არ მოემზადოს ან რისამე წაკითხვით, სხვის აზრების შეტყობით? ჭამაშიაც კაცს ლუკმის დაღეჭვა უნდება და რამე საზოგადო საგნის გადაწყვეტასაც ხომ დრო, მოფიქრება, აზრების ალებ-მიცემა, აწონვა უნდება.

ამისთანა ყოფაშია ჩვენი საზოგადოება დღევანდელ დღეს თავად-აზნაურთა კრებების წინად. დამეთანხმებით, რომ ეს ვერა ჰგავს აზრიან მომზადებას და ეს ცუდი ჩვეულება არის მიზეზი, რომ ერთსა და იმავე საგანზე მსჯელობას წლიწადებს ვანდომებთ.

ყოველთვის სწორედ კრების დროს ასტყდება ხოლმე გაუთავებელი ლაპარაკი, ყოველისფრით გამოურკვეველი, გაუსინჯავი, მოუფიქრებელი და ბოლოს დასკვნაც ხელდახელ ახანხლული და ნაძალადევი ვისიმე შთაგონებით.

ამისთანა მოუმზადებელ ყრილობაზე ორიოდე კაცს გარდა, ვისაც წინადვე უფიქრია, ვერავინ გამოსაყენებელს, ნაყოფიერ აზრს ვერ ადგას და მომეტებული ნაწილი ისე უხვდება წარმოთქმულ აზრს და ისეთ საუბარს მოჰყვება, რომლითაც ჰხედავთ, ამას თავის დღეში ამ საგნისა არც თავი ესმის, არც ბოლო და არც თავის დღეში უფიქრია. უმეტესი ნაწილი კრებაზე მოლაპარაკეთა ლაპარაკის მადით არის აღძრული. მას ეხალისება, მეც ხმას ამოვიღებო, ყველა ლაპარაკობსო და ესეც ენას იდგამს.

ყველაფერს მომზადება უნდა და რომელისამე საზოგადო კრებულის წარმომადგენლებმა უფრო კარგად უნდა იცოდნენ, რომ მათი ვალდებულებაა საზოგადოებას შეატყობინონ მწერლობის საშუალებით, რაც მის საზრუნველ და განსახილველ საგანს შეეხება.

ნუ თუ პროექტების ან წინადადების შეტანის მსურველებს არ შეუძლიათ საზოგადოებას გააგებინონ განზრახულ აზრის შინაარსი და მნიშვნელობა?!

სიჩუმე, სიჩუმე უკეთესიაო ყვირილსა, ხმაურობასა, წურსა და საზოგადოებაში ლაპარაკის ატეხასაო: ძველი კანცელარიული და ჩინოვნიკური მუშაობაც ასე იყო და იმას არა სჯობდა-რაო, ასე ჰფიქრობენ, ალბად.

ნეტავი ჩვენს მოსაქმეობას! **ვ.**

დიდ საქმეში ცოტა რამ გაფრთხილება

სამწუხაროდ ჩვენდა, არა გვაქვს ქართულს ენაზე სპეციალური ორგანოები, რომ შეიძლებოდეს ამა თუ ის სპეციალურ საგნის ვრცლად გარჩევა და დასაბუთება. ამიტომ ზოგიერთ სპეციალისტს კიდევაც რომ ჰსურდეს ბევრ რამის გამორკვევა ზოგიერთ რთულ საგნის შესახებ, იძულებულია ან სულ გაჩუმდეს, ან და ორიოდე სიტყვა მაინც გაუზიაროს საზოგადოებას კერძოთ და სპეციალისტებს განსაკუთრებით ჩვენის გაზეთების შემწეობით. ამ უკანასკნელების დანიშნულება კი სულ სხვაა და ამიტომ სანამ დავიწყებდეთ ჩვენ წერილს, ვალდებულნი ვართ მკითხველის წინაშე ბოდიში მოვითხოვოთ, რადგან შეიძლება ძლიერ ბევრისათვის ჩვენი წერილი საინტერესო არ იყოს. საჭიროა სანამ სპეციალური ორგანო გაგვიჩნდებოდეს, ჩვენმა გაზეთებმა დაუთმონ ხოლმე სპეციალურ წერილებს ალაგი; იმედია, არც მკითხველები დარჩებიან უკმაყოფილონი, რადგან სპეციალური წერილები უსარგებლო და უმნიშვნელო არ იქნება ჩვენის საზოგადოების ერთის ნაწილისათვის მაინც.

ამ ჟამად-კი, როგორც სპეციალისტს მეღვინეს, მინდა ვესაუბრო მკითხველს მეღვინეობა-მევენახეობის ზოგიერთ საკითხზე.

ყველა საქმეში თუ საძირკველი მკვიდრ ნიადაგზე არ არის დამყარებული, რაიმე საიმედოს გაკეთება შეუძლებელია. ასეა ყველგან და ყველაფერში. ასევეა, რასაკვირველია, მეღვინეობა-მევენახეობაშიაც. მევენახეობის ძველი საძირკველი მისი ძველი კულტურაა. გაჩნდა ფილოქსერა და სხვ. სენი და საძირკველი გამოუთხარა ძველს კულტურას. ვეძებთ ახალს და ვერსად გვიპოვნია; უკედ რომ ვთქვათ, გავიგეთ, რომ სადღაც საფრანგეთში ისეთივე უბედურება მოსვლიათ, როგორიც ჩვენ მოგვივიდა; ისიც გავიგეთ, რომ რაღაც ამერიკული ვაზი ყოფილა და ფრანგებმა იმის შემწეობით მევენახეობა აღადგინესო. გავიგეთ ყველა ეს და ზოგიერთ ვაჟბატონებმა აიღეს და გადმოასკუპეს ეს ამერიკული ვაზი ჩვენში.

სანამ ამერიკულ ვაზის შესახებ ვიტყოდეთ რამეს, არ შეგვიძლიან ორიოდე სიტყვა ბ-ნ სტაროსელსკიზე (საქარის სანერგის გამგეა) არა ვთქვათ.

ძლიერ ბევრი იშრომა, სწორედ, ბ-ნმა სტაროსელსკიმ ჩვენის მევენახეობისთვის და მადლობის მეტი არაფერი ეთქმის. მაგრამ

ადამიანი შეუმცდარი არას დროს არ იქნება, ამიტომ ადვილად შესაძლებელია ასეთ რთულ საკითხში (როგორც ამერიკული ვაზია ჩვენთვის) ყველაფერი სავსებით ვერ გამოიკვლიოს კაცმა, მით უმეტეს თუ მომხრე და შეცდომის მაჩვენებელი არ გამოუჩნდება. იქნებ დიდად საზარალოც იყვეს ასეთ საკითხებში რაიმე შეცდომის ჩადენა, მაგრამ ერთ კაცს ყველაფერს ვერ მოვსთხოვთ.

ამერიკული ვაზი ბევრნაირის ჯიშისაა და თითქმის ყოველი ჯიში სხვა-და-სხვანაირ ნიადაგს და ჰავას თხოულობს; თუ ერთი ამათგანი აკლია, ვერ იღორძინებს ამერიკული ვაზი. მე ვეხები საზოგადო თვისებას ამერიკულ ვაზისას და კერძოდ ამის განხილვაში არ შევდივარ. ფრანგებმა საკვირველი მხნეობა და მუყაითობა გამოიჩინეს ამ მხრივ და დიდის შრომის შემდეგ გამოარკვიეს, თავის ქვეყნისათვის **რომელი ჯიში რა ნიადაგებში უფრო სასარგებლო** იქნება. აი, აქ გაისკვნა მევენახეობის ახალი მაგარი საძირკველი და სანამ ფილოქსერას სხვა რაიმე საშუალებით არ მოსპობენ, მანამდის მევენახეობის კულტურა იქ უცვლელი დარჩება.

ჩვენში კი, სამწუხაროდ, ასე არ არის. ამას შემდეგიც დაგვარწმუნებს. ბ-ნ ტიებოს (ამერიკულ ვაზის სანერგეს პატრონია ქუთ. გუბერნიაში) უთხოვნია [1]) კავკასიის სამეურნეო საზოგადოების საბჭოსათვის, გამოიკვლიოს ქუთაისის გუბერნიის რომელ კუთხესა და ნიადაგს ამერიკულ ვაზის რომელი ჯიში უფრო მოუხდება, **რომ მცხოვრებთ ტყუილად არ დაეკარგოთ შრომა ამერიკულ ვაზის გაშენების დროსაო** (ხაზს ჩვენ ვუსვამთ). ბ-ნ ტიებოს ასეთ წინადადების შესახებ ულრმეს მადლობის მეტს ვერას ვეტყვით და არც ჩვენის მევენახეობის ისტორია დასტოვებს უყურადღებოდ ბ-ნ ტიებოს წინადადების მნიშვნელობას მომავალ მეღვინეობისათვის. მართლაც და რამ აიძულა ბ-ნი ტიებო მიემართნა სამეურნეო საზოგადოების საბჭოსათვის ასეთ წინადადებით? ჩვენის აზრით, საგნის მეტისმეტმა სიყვარულმა და ზნეობრივმა მოვალეობამ საზოგადოებისადმი, რომელსაც მტკიცეთ ასრულებს ბ-ნი ტიებო, როგორც იმის წინადადების შინაარსი გვიჩვენებს. თორემ სხვა რაიმე მოსაზრებით და ჩარჩულ ინტერესებით რომ ხელ-მძღვანელობდეს ბ-ნი ტიებო, ასე არ მოიქცეოდა. იგი ჯიბეებს გაიტენიდა საწყალ ხალხის ნაწვავნადაგ გროშებით და მიაჩეჩებდა ამერიკულ ვაზს. (რომლისაც დიდი მოთხოვნილებაა ჩვენში); როგორს და რანაირს ამას ხომ აღარ იკითხავდა. ბ-ნმა ტიებომ ის გვიჩვენა, რაც დიდი ხანია უნდა დაგვენახა და რასაც უნდა დავკითხებოდით ჩვენ თავს.

რაც რომ ფილოქსერა გაჩნდა ჩვენში, ხალხში დაიბადა სურვილი რამენაირად გამოებრუნებინა ზიარების წვენის მძლეველი ვაზი და რადგან ამერიკული ვაზი ურჩიეს და დაიჯერეს მისი სარგებლობა, აღარც ხარჯს დაერიდა, აღარც შრომას, აღარც ჯაფას და მიჰყო ხელი ამერიკულ ვაზზედ ვენახის შენებას. ვაი თუ დაჰკარგოს ამერიკულ ვაზის იმედი! მაშინ რამდენიც გნებავთ, ეხვეწეთ, ეჩიჩინეთ, მაგრამ ამერიკულ ვაზს არა თუ ველარ დაარგვევინებთ, სახელსაც ველარ გააგონებთ და ეს რომ ასე არ მოხდეს, დროა, საფრთხილით მოვეკიდოთ საქმეს. ეხლა მაინც შევუდგეთ გამოკვლევას, რომელ ნიადაგში და რა პირობებში ამერიკული ვაზის რომელი ჯიში უფრო გამოგვადგება. რამდენადაც ვიცით, ამ საკითხს ძლიერ ადვილათ უყურებენ ჩვენში: თუ კი ვაზის შესაძენი და მიწის დასამუშავებელი ფული იშოვნეს, ჰგონიათ გავაკეთეთ ყველაფერიო. ჩვენის აზრით კი, ტყუილი ხარჯი იქნება, თუ არ გავიგებთ რა ნიადაგში და რა ადგილს რა ჯიშის ვაზი გამოდგება.

ალ. მაჭავარიანი.

(შემდეგი იქნება)

საზღვარ-გარედ

ბალკანეთი. ამ გაზაფხულზე მოელოდნენ მაკედონელების საერთო აჯანყებას, მაგრამ ეს მოლოდინი არ მართლდება იმიტომ-კი არა, რომ ხალხი წინააღმდეგი იყოს რევოლიუციონერების მოქმედებისა და არ თანაუგრძნობდეს სულით და გულით განთავისუფლებისათვის ბრძოლას, არამედ იმიტომ, რომ ამას მოითხოვს ეხლანდელი მდგომარეობა. მაკედონურ კომიტეტის ორგანო „რეფორმი" ამბობს ამ კითხვის გამო: „ყველა თანახმაა, რომ ხალხის საერთო აჯანყება წარმოუდგენელია. ბევრი ამ აზრის არის, რომ ცალკ-ცალკე და ადგილობრივ ხასიათის აჯანყებანი მოახდინონ, მაგრამ ასეთი სისტემა მეტად საშიშია, როგორც ეს დაამტკიცა ბოლგარიის აჯანყების გამოცდილებამ 1875 წელს. საუკეთესო ტაქტიკა მაკედონელებისათვის პარტიზანული, სათარეშო ომია. მებრძოლ მაკედონელების რიცხვის სიმცირე უნდა შეივსოს სწრაფის მოძრაობით, ენერგიით და ხშირის თავდასხმით ოსმალების ჯარებზე. ასეთის ხასიათის ბრძოლა ზედ გამოჭრილია მაკედონიის გეოგრაფიულ პირობებისათვის და პოლიტიკური გარემოებანიც ასეთ ბრძოლას მოითხოვენ. გარეშე დახმარების იმედი მაკედონელებს არ უნდა ჰქონდეთ, ამიტომ უნდა მოემზადნენ ხანგრძლივ ბრძოლისთვის, რომელიც მოჰქანცავს ოსმალეთს, გამოლევს მის მატერიალურ ძალას და აიძულებს ევროპის დიპლომატიას აასრულოს ის ვალდებულება, რომელიც 25 წლის წინად იდო თავზე".

◆ ავსტრიის გაზეთების სიტყვით, ალბანელების მეთაურებს ფიცი დაუდვიათ, რომ არაფრის გულისათვის ნებას არ დართავენ მაკედონიაში რეფორმები შემოიღონ; ამასთანავე შეატყობინეს ახალ კომისიას, რომელიც ოსმალეთის მთავრობამ გაჰგზავნა ალბანელების შესაგონებლად და დასამშვიდებლად, რომ თავს ტყვილა ნუ შეიწუხებს და მათთან ნუ მივა, რადგან, შეიძლება, კომისიის წევრები ცოცხლებიც ვერ დაბრუნდნენ აქედანაო. შეშინებული კომისიაც კონსტანტინეპოლში დაბრუნებულა.

ალბანელების ასეთის ქცევის მომიზეზებით ოსმალეთის მთავრობა გზავნის და გზავნის ჯარებს მაკედონიასა და ძველ სერბიაში. მარტო ძველ სერბიაში 50 ბატალიონი ჯარი იქნება სულ მოკლე ხანში.

როგორც ნათქვამი გვქონდა, ოსმალეთის მხრივ ამოდენა ჯარის მოგროვებას მაკედონიის ვილაიეტებში სულ სხვა რიგად ხსნიან: პორტასა და ალბანელებ შუა საიდუმლო შეთანხმებაა; განზრახვაა, რაც შეიძლება მეტ ჯარს მოუყარონ თავი მაკედონიის საზღვრებზე, რომ ძლიერის იერიშით მივიდნენ იმ მეზობელ სახელმწიფოზე, რომელიც მაკედონიის საქმეებში გარევას გაბედავს.

◆ ვენის გაზეთ „ცაიტ"-ში დაბეჭდილია საინტერესო წერილი ცნობილ ბორის სარაფოვისა, რომელიც მეთაურობს მაკედონელ რევოლიუციონერების მოძრაობას. სარაფოვი ენერგიულ პროტესტს აცხადებს რუსულ გაზეთების მიერ გავრცელებულ ხმების წინააღმდეგ, ვითომც რევოლიუციონერები მკაცრად და შეუბრალებლად ეპყრობოდნენ მაჰმადიანებს. „ყველა ასეთი ხმები ნამდვილი ცილის-წამებაა და სხვა არაფერი"-ო, სწერს სარაფოვი. რევოლიუციონერების მეთაური განსაკუთრებით აღშფოთებულია რუსეთის დიპლომატიის ქცევით—სარგებლობს ამ ცრუ ხმებით და ორმოსა სთხრის რუსეთსა და მაკედონიას შუაო. „აჯანყებულებს არავითარი იმედი აღარ აქვთ რუსეთისა. მათ ამხნევებს მხოლოდ ის რწმენა, რომ ევროპა აღარ მოითმენს იმ პატარა ქრისტიან ერის დამონებას, რომელიც იბრძვის თავისუფლებისა და ადამიანის უფლებისათვის."

დრეიფუსის საქმე. როგორც ახალ ცნობებიდან სჩანს, პოლკოვნიკი სტოფელი, რომელმაც დაარწმუნა დე-ბურბონი, რომ არსებობს ვილჰელმის ხელით დაწერილი შენიშვნა ცნობილ ბორდეროზე, მეორე მერსიე ყოფილა დრეიფუსის საქმისათვის. პოლკოვნიკი გენერალის მაგალითს ჰბაძავდა და ყველგან ავრცელებდა ხმას, რომ არსებობს ნამდვილი დოკუმენტი, დრეიფუსის ღალატის დამამტკიცებელი. სხვათა შორის, ერთის მეგობრისათვის (ლუვრის მუზეუმის კონსერვატორია) უთქვამს, რომ ჩემის თვალით ვნახე იმპერატორ ვილჰელმის შენიშვნა ბორდეროზეო, რომელიც გენერალ კუაფემ მაჩვენაო. დე-ბურბონს-კი უთხრა—გერმანიის ელჩმა მიუნსტერმა მაჩვენაო. აქედან ცხადი ხდება ჟორესის ეჭვის სიმართლე—მიუნსტერს არაფერიც არ უჩვენებია სტოფელისათვის.

ერთი წვრილმანი ფაქტი კიდევ, რომელიც ახასიათებს ანტი-დრეიფუსარებს—მერსიე გულზე ატარებდა ბორდეროს ფოტოგრაფიულ სურათს და ამბობდა: არ შემიძლია საჯაროდ გამოვაჩინო, რადგან მაშინვე ომი ატყდება საფრანგეთსა და გერმანიას შორისო.

როგორ უნდა მოიქცეს საფრანგეთის მთავრობა მას შემდეგ, რაც ალფრედ დრეიფუსმა სამხედრო მინისტრს მიჰმართა და ოფიციალურად სთხოვა თავის საქმის ახალი გამოძიება ახალ გარემოებათა გამომჟღავნების გამო. თუ ზოგიერთ გავლენიან გაზეთს დავუჯერეთ, სამინისტრო არ გადასცდება პარლამენტის დადგენილებას—დრეიფუსის საქმე ჩვეულებრივ სასამართლოს საქმეა და თუ სურთ მისი განახლება და ახალ გამოძიების დაწყება, სასამართლოს უნდა მიჰმართონო. მაშასადამე, დრეიფუსმა თავის თხოვნით იუსტიციის მინისტრს უნდა მიჰმართოს.

ყოველ შემთხვევაში დრეიფუსის საქმის მიფუჩეჩება ეხლა შეუძლებელია. სინიდისი, მიმართლე თხოულობს უდანაშაულოდ დასჯილის რეაბილიტაციას და ამ სინიდისსა და სიმართლეს ძლიერი ქომაგები ჰყავს თავისუფალ საფრანგეთში. არა გულწრფელი აღშფოთება და გულში ცემა, ვითომ სამშობლო დაიღუპება თუ დრეიფუსის საქმე განახლდა და მისი სიმართლე დამტკიცდაო, ეხლა გულუბრყვილო შეუგნებელ ადამიანს თუ მოატყუილებს. საფრანგეთის რესპუბლიკის თავისუფალ მოქალაქეთა დიდი ნაწილი იმ აზრის არის, რომ ბრძოლა სინიდისისა და სიმართლისთვის სამშობლოს ნამდვილი სამსახურია—იგი აამაღლებს, განასპეტაკებს საფრანგეთს, რომელსაც ჩირქი მოსცხეს ბნელ რეაქციის თაყვანისმცემლებმა და ინტრიგანებმა, და მეტ დიდებასა და გავლენას შესძენს განათლებულ ხალხებ შორის.

ახალი ამბავი

◆ უმთავრესმა სამხედრო სასამართლომ პეტერბურგში დაამტკიცა კავკასიის სამხედრო სასამართლოს განაჩენი იმ მალაკანთა შესახებ, რომელთაც ამას წინად ამიერ-კავკასიის რკინის გზის ვაგონში მოჰკლეს კონტროლიორი გედევანიშვილი და კონდუქტორი სტურუა, იმ ცვლილებით, რომ მესამე დამნაშავესაც მიესაჯა ჩამოხრჩობა კატორღაში გაგზავნის მაგიერ.

◆ ქალაქის საექიმო-სასანიტარო საბჭომ წარუდგინა გამგეობას თავისი მოსაზრებანი ბ-ნ **არამიანცის შემოწირულებისა და ქალაქის საავადმყოფოს დაარსების შესახებ.** საბჭო საჭიროდ სთვლის: ეხლავ შეუდგნენ ქალაქის საერთო საავადმყოფოს გეგმის შედგენას, რაც უნდა მიენდოს განსაკუთრებულს ტეხნიკს საექიმო საბჭოს ერთ-ერთ წევრის მონაწილეობით; არამიანცის შემოწირულებით უნდა აშენდეს ორი ბარაკი ქირურგიულ და შინაგან ავადმყოფთათვის; ეს ბარაკები ნაწილები იქნება საერთო საავადმყოფოსა, ბარაკების აშენებას, საბჭოს აზრით, დასჭირდება სრულად ის ფული, რომელიც შესწირა არამიანცმა; წელიწადში-კი ბარაკებს დასჭირდება 35 ათასი მანეთი 85 ავადმყოფის შესანახად. ამ პროექტის განსახორციელებლად, საბჭოს აზრია შუამდგომლობა იქნას აღძრული, რომ ქალაქს ნება მისცენ მუშა ხალხზე საავადმყოფო გადასახადის დაწესებისა, რადგან უმთავრესი საავადმყოფო მუშა ხალხისათვის იქნება დაარსებული (ამგვარ საერთო გადასახადის დაარსების ნება ქალაქს, როგორც ვიცით, არ მისცეს). საავადმყოფო უნდა აშენდეს იმ ადგილას, სადაც ახლა გადამდებ სენის ბარაკებია (ავლაბარში), მხოლოდ უნდა გამოირკვეს საკითხი, თუ რას უპირებს ქალაქი იმ 4 ათას ოთხკუთხ საჟენს მიწას, რომელიც ეკუთნის ვინმე ფილტოვს და რომელიც შუაზე სჭრის ქალაქის იმ ადგილს, სადაც საავადმყოფო უნდა აშენდეს.

◆ მცხეთის საკათალიკოსო ტაძრის განმაახლებელმა კომისიამ გადასწყვიტა ამ ზაფხულშივე შეუდგეს ტაძრის შეკეთებას. რადგან კომისიას საკმაო თანხა არა აქვს, ამიტომ ჯერ იმ ნაწილებს შეაკეთებენ, რაც უფრო დაზიანებულია.

◆ მაისის პირველ რიცხვებში მოხდება **წლიური კრება** კავკასიის საგეოგრაფიო საზოგადოებისა. კრებამ უნდა განიხილოს ანგარიში, ხარჯთ-აღრიცხვა და სხვა საქმეები.

◆ დღეს, 20 აპრილისთვის, დანიშნულია გორის მაზრის მემამულეთა **ამხანაგობის კრება.** კრება მოხდება სოფელ გომს.

◆ ტფილისის გუბერნიის საქალაქო საქმეთა საკრებულომ რამდენჯერმე მოსთხოვა ტფილისის ქალაქის გამგეობას წარუდგინოს მდგომარე წლის **ხარჯთ-აღრიცხვა,** მაგრამ გამგეობამ დღემდე ვერ აასრულა ეს მოთხოვნილება. 19 აპრილს გამგეობამ ერთხელ კიდევ მოსთხოვა ქალაქის მოურავს დაუყოვნებლივ გაუგზავნოს გამგეობამ ხარჯთ-აღრიცხვა და აცნობოს აგრეთვე მიზეზი ასე დაგვიანებისა.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ 18 აპრილს განაგრძო ქალაქის ამ წლის **შემოსავალ გასავლის აღრიცხვის** განხილვა. გამგეობამ დაასრულა ხარჯის ყველა მუხლების განხილვა.

◆ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ გუშინ, 19 აპრილს **კახეთში გაგზავნა** 5 ფურგონი და 10 ურემი შაბიამანი და გოგირდი.

◆ კავკასიის სამხედრო-სამკურნალო გამგეობამ ექიმი ნიკოლსკი გაგზავნა ყიზლიარში **მალარიის გამოსაკვლევად.**

◆ მიწათ-მოქმედების სამინისტროს განუზრახავს შინა მრეწველობის **გასაძლიერებლად** საოლქო კომიტეტების დაარსება. ასეთი კომიტეტი მთელს რუსეთში თორმეტი იქმნება, სხვათა შორის ტფილისშიაც. კომიტეტის წევრებად იქმნებიან თავმჯდომარე, საქმის მწარმოებელი, ტეხნიკოსი-ინსტრუქტორი, მხატვარი იქ, სადაც საჭიროა, ერობის ან ქალაქის წარმომადგენელი. თავმჯდომარედ უნდა დაინიშნოს ისეთი, რომელიც ადგილობრივ პირობებს იცნობს, საქმის მწარმოებლად ადგილობრივი მოღვაწე, რომელიც შინა მრეწველობის საქმეს უნდა იცნობდეს.

◆ 23 აპრილისთვის დანიშნულია კურთხევა ტფილისის საურთიერთო საკრედიტო საზოგადოების ახალ სადგომისა ერევნის მოედანზე. კურთხევის შემდეგ მოხდება წევრთა **საზოგადო** კრება. სხვათა შორის, უნდა აარჩიონ დირექტორი. ასახელებენ ეხლანდელ დირექტორს თათუზოვს, მომრიგებელ მოსამართლედ ყოფილს ირიცპუხოვს, ბრალმდებლის ამხანაგად ყოფილს ორბელს და ლაზარ ტიგრანოვს. როგორც ანგარიშიდანა სჩანს, 1902 წელს საზოგადოებას მოგება ჰქონია 110 ათასი მანეთი.

◆ ტფილისში ჩამოვიდა განჯის გუბერნატორი გენ.-მაიორი ლუტცაუ.

◆ რედაქციამ მიიღო ახალი წიგნი „პარიზის ქრონიკა ანუ ცხოვრება საქართველოისა და დიდი მოურავის ამბები, გადმობეჭდილი უკლებლივ 1823 წ. პარიზში აკადემიკოსის მარი ბროსსეს მიერ გამოცემულ დედნიდან". მეორედ გამოცემულია ზ. ჭიჭინაძის მიერ. წიგნი ღირს 30 კაპეიკად.

◆ ქალაქში უკანასკნელ დღეებში ძალიან გაძვირდა ხორცი. გუშინ მეყასბეები ყველა ხარისხის ხორცს სამ შაურად ჰყიდდნენ გირვანქას, რის გამო რამდენიმე ოქმიც შეადგინეს და გამგეობაში საჩივრებიც შეიტანეს. არ იქმნა და არ მოწესრიგდა ეს საქმე! ქალაქის დუქნების დაარსებამაც ვერ უშველა. ახლა, როგორც გავიგეთ, გამგეობის სხვა-და-სხვა დაწესებულებათა შორის უთანხმოებაც ჩამოვარდა ამ საქმის გამო: ნიხრის გამწესრიგებელი კომისია წინააღმდეგია ნიხრის მომატებისა, მაშინ როდესაც ქალაქის დუქნების გამგე-კომისია საჭიროდ სთვლის ნიხრის მომატებას. სანამ ესენი გადასწყვეტენ საქმეს, ყასბები თავისას სჩადიან: არც ხარისხის გარჩევას მისდევენ, არც დაწესებულ ტაქსას!

◆ ბორჯომის სამრევლო-საეკლესიო სკოლის მასწავლებელი მთავარ-დიაკონი მიხეილ გაგლოშვილი გვთხოვს დავბეჭდოთ: „უღრმეს მადლობას ვუცხადებ ბორჯომის ბლაღოჩინ-მღვდელს მ. იოაკიმე გორგაძეს, რომელმაც კეთილ-ინება და უფასოდ დაუგზავნა ჟურნალი „ჯეჯილი" ბორჯომის სამრევლო-საეკლესიო სკოლას".

◆ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭომ სამკურნალო საზოგადოების გამგეობას სთხოვა გაუგზავნოს ხალხში დასარიგებლად სამკურნალო საზოგადოების მიერ გამოცემულ სახალხო წიგნაკების 200 ცალი კიდევ.

◆ 18 აპრილს, პოლიციის 1 ნაწილში, დერბენტის ქუჩაზე, პოლოსოვის სახლში უეცრად გარდაიცვალა გლეხის ქალი დონიკია გოლოვაჩევისა. გარდაცვალებულის გვამი მიხეილის სამკურნალოში გაგზავნეს.

◆ 17 აპრილს, პოლიციის მესამე ნაწილში, „ჯნიაევსკი" სასტუმროში მცხოვრებ კერძო ვექილის პავლე ნეკრასოვისათვის ვიღაც ბოროტ-გან-

---

[1]) იხ. „ცნ. ფურცლის" № 2074 ახალ ამბებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზრახველთ მოუპარავთ ფულად 40 მან., პოლიციამ ქურდი აღმოაჩინა—შუშის მცხოვრები მიხეილ ვართანოვი, რომელიც დააპატიმრეს.

◆ პოლიციის მე-3 ნაწილში, 18 აპრილს, პეტრე ტუზოვისთვის იმის შინ არ ყოფნის დროს ქურდებს ჩაუმტვრევიათ ფანჯრები და გაუტანიათ 53 მან., ტანისამოსი და სხვა ნივთები. ქურდები ვერ აღმოაჩინეს.

რუსეთის ქრონიკა

◆ როგორც „პრავიტ. ვესტნ.“ გადმოგვცემს, ფინლიანდიაში სამოქალაქო და სამხედრო მოხელეთა ურთ-ერთ დამოკიდებულების გამაწესრიგებლად, გენერალ-გუბერნატორს საჭიროდ უცვნია ფინლიანდიაში იმ კანონების შემოღება, რომელიც რუსეთში მოქმედებს. ფინლიანდიის სენატმა, გენერალ-გუბერნატორის ბრძანებით, უკვე მოახდინა შესაფერი განკარგულება.

◆ სამოსწავლო უწყების მთავარ გამგეობას ფინლიანდიაში დირექტორებისა და ინსპექტორებისათვის მიწერილობა გაუგზავნია. მიწერილობაში ნათქვამია, რომ სკოლებში საქმის წესიერ მსვლელობისათვის საჭიროა მოსწავლენი არა მართავდნენ დემონსტრაციებს და საზოგადოდ პოლიტიკაში არ ერეოდნენ. ამიტომ გამგეობა ავალებს დირექტორებსა და ინსპექტორებს სასტიკი თვალყური ადევნონ მოსწავლეთა ყოფა-ქცევას.

◆ დღემდე ფინლიანდიის გაზეთებში თავისუფლად იბეჭდებოდა განცხადებანი კონცერტებისა, წარმოდგენებისა და სხვა გასართობების შესახებ. დღეიდან, როგორც ოფიციალური გაზეთი გადმოგვცემს, ყველა ამის ბეჭდვა მთავრობის ნება დაურთველად აღკრძალულია.

◆ ამას წინად „პრავიტელ. ვესტ.“ დაიბეჭდა ამბავი კიშინევში მომხდარ უწესოებათა შესახებ. ამის დასამატებლად დაბეჭდილია შემდეგი: „აღდგომის პირველსა და მეორე დღეს დიდძალმა ხალხმა, უმეტესად შეზარხოშებულმა, რომელსაც მოზარდნი და ბავშვები მისდევდნენ, შესამჩნევი უწესოებანი მოახდინა ერთსა და იმავე დროს ქალაქის სხვა და სხვა ადგილას. პოლიციისა და ჯარის მიახლოვებისათანავე ხალხი გარბოდა და იმალებოდა. დაამტვრიეს და დალეწეს არა მარტო ფანჯრები, არამედ მაღაზიები, დუქნები და სადგომებიც. უმთავრესად დაზარალდნენ ებრაელნი, თუმცა აიკლეს სხვების სადგომებიც—პოლიციელებისა, სააქციზო მოხელეებისა და სხვებისა. ჩაამტვრიეს ფანჯრები საგუბერნიო გამგეობის სტამბისა, სამხედრო საკრებულოსი, საზოგადოებრივ საკრებულოსი და გაზეთ „ბესარაბეც“-ის სტამბისა. ბანკებს, საკრედიტო საზოგადოებას, ფოსტას, წყლის მილს და სხვა დაწესებულებებს პოლიცია და ჯარი მიუყენეს სადარაჯოდ, ამიტომ პოლიცია ძალიან შესუსტდა და ქალაქის ქუჩებში გაფანტულ ხალხს ვერ აუვიდა. საზოგადოდ საშინელი სურათი წარმოუდგა თვალწინ კაცს: ყველაფერი მინგრეულ-მონგრეული იყო. ყველაზე მეტად ღარიბნი დაზარალდნენ. ზარალი, უთოდ, ძალიან დიდია. ბევრი უსახლ-კაროდ და ულუკმა-პუროდ დარჩა. უწესოებამ უმსხვერპლოდ არ ჩაიარა. მოკლული და ჭრილობისაგან გარდაცვლილი აღმოჩნდა 30 კაცი. მძიმედ დაიჭრა 60 კაცამდე. მესამე დღეს უწესოებანი არ განახლებულა. გამოძიებას კიშინევის ყველა გამომძიებელი შეუდგა. ყველა თავთავის ნაწილში მომხდარ უწესოების ამბავს იძიებს.“

ამ უწესოებათა გამო ბესარაბიის გუბერნატორმა გამოსცა სავალდებულო დადგენილებანი კიშინევისთვის. დადგენილებათა ძალით აღკრძალულია იარაღის ტარება და ქუჩებში ყრილობების მოხდენა. ამას გარდა სახლის პატრონებმა უნდა გაიჩინონ განსაკუთრებული დავთრები მომსვლელ-წამსვლელთა აღსანიშნავად.

◆ უმაღლესს მთავრობას შიდა რუსეთის ჩრდილოეთ დასავლეთ მხარეს განუზრახავს უნივერსიტეტის დაარსება. ამ აზრით ვილნოს სამოსწავლო ოლქის მზრუნველი შეჰკითხებია ქალაქ მაგილევის საბჭოს, ხომ არ გაიმეტებს ქალაქი 60 დესეტინა მიწას მაგილევში უნივერსიტეტის დასაარსებლადაო.

◆ აზრადა აქვთ შემოდგომაზედ სრულიად რუსეთის ხელოსანთა კრება მოახდინონ. კრებამ უნდა მოილაპარაკოს ხელოსანთა ყოფა-მდგომარეობისა და საჭიროებათა შესახებ.

პრესსა

ახლახან უმაღლესად დამტკიცდა სისხლის სამართლის ახალი დებულება. პრესსა საერთოდ დიდის თანაგრძნობით ეგებება ახალს დებულებას. „რუსკ. ვედომ“. სწერს, რომ სარედაქციო კომისიამ არა მარტო შეაგროვა, სისტემაში მოიყვანა და ახალი რედაქცია შეუდგინა ძველ კოდექსის კანონებს, არამედ შექმნა ახალი კოდექსი. მუხლების რიცხვი თითქმის სამჯერ შემცირდა: 1711-ის მაგიერ ახლა 684 ა, რაც ფრიად ამარტივებს სისხლის სამართლის დებულებასა და შეძლებას იძლევა მეტის თავისუფლებით იქმნას არჩეული სასჯელი. გაზეთის აზრით, ახალი დებულება არ არის ნაყოფი ბიუროკრატიულის კანცელარიების შემოქმედებით ნიჭისა, არამედ საუკეთესო შრომა, დაფუძნებული მეცნიერების უკანასკნელ სიტყვაზე და მრავალი ხნის გამოცდილებაზე. რომ ეს კოდექსი მეტად სერიოზული შრომაა და ბევრად სჯობს ძველს, ამას გვიმტკიცებს:

> აუარებელი და სხვა-და-სხვა გვარი მასალა, რომელიც სარედაქციო კომისიის ხელში იყო; მიმართულება, რომელიც მისცა კომისიის მუშაობას სახელმწიფო საბჭომ, ესე იგი წინადადება, რომ კომისიამ დებულების შესადგენად იხელმძღვანელოს თანამედროვე მეცნიერების შენიშვნებითა და ევროპის სახელმწიფოთა დებულებებით; მთელს რუსეთში ცნობილის მეცნიერებისა და პრაქტიკების მონაწილეობა კოდექსის შედგენაში, ნამეტურ ისეთებისა, როგორიც არიან სენატორები ფოინიცკი და ტაგანცევი; დიდი დრო, რომელიც მოანდომა კომისიამ კოდექსის შედგენას და ბოლოს, ბეჯითი და ყოველმხრივი გადასინჯვა პროექტის ყველა ნაწილებისა სხვა-და-სხვა კომპეტენტურ დაწესებულებაში.

⁂

„პეტერბ. ვედომ“-ის ცნობილმა თანამშრომელმა, რომელმაც მეჩტატელის ფსევდონიმით რამდენიმე საყურადღებო წერილი უძღვნა ჩვენ საქმეებსაც, შემდეგი წერილი დაბეჭდა „პეტერბ. ვედომ.“-ის გუშინდელ №-ში:

> „ნება მიბოძეთ, ბ. რედაქტორო, „პეტერბ. ვედომ.“-ის საშუალებით გამოვაქვეყნო შემდეგი: მე მივიღე გუშინ ტფილისიდან დეპეშით სალამი „ქართველ ინტელიგენციის ერთ წრისაგან“. რადგან არავის არ ვიცნობ იმათგან, ვისაც დეპეშაზე ხელი უწერია, არც მათი ადრესები ვიცი და არ შემიძლიან პასუხი მივწერო, ამიტომ ვთხოვ ყველას მათ, ვინც პატივი მცა და ასეთის თანაგრძნობით აღნიშნა ჩემი მცირე ლიტერატურული ვარჯიშობა, მიიღონ ჩემგან უღრმესი და უგულითადესი მადლობა. მეჩტატელი“.

თეატრი

მკითხველებს ეხსომებათ, რომ შარშან დრამატიულ საზოგადოების წევრთა კრებამ მიანდო გამგეობასა და განსაკუთრებულ კომისიას გამგეობის მიერ აღძრულ ერთ საინტერესო საკითხის შემუშავება. საქმე შეეხება პროვინციაში წარმოდგენების მოწყობას გაზაფხულ-ზაფხულობით. გამგეობასა და კომისიას უკვე ჰქონია რამდენიმე კრება და კიდეც შეუმუშავებია გეგმა საზაფხულო წარმოდგენებისა. როგორც გადმოგვცეს, განზრახულია დასი ორ ჯგუფად გაიყოს. ერთი ჯგუფი გაემართება რკინის გზით ქართლსა და იმერეთ-სამეგრელოში. წარმოდგენები გაიმართება შემდეგ ადგილებში: გორსა, ხაშურსა, სურამსა, ბორჯომსა, ყვირილასა, ჭიათურასა, სამტრედიასა, ოზურგეთსა, ბათუმსა, სოხუმსა, ფოთსა, ახალსენაკსა, ზუგდიდსა და ქუთაისში. დასი სამგზავროდ უნდა წავიდეს ესე მაისის შუა რიცხვებში, დაჰყოფს გზაში თვე-ნახევარს და გამართავს 39 წარმოდგენას.

მეორე ჯგუფი წარმოდგენების მართვას შეუდგება უფრო ადრე, სახელდობრ დიდმარხვაში და გაემართება ბაქოსა და ყარსისაკენ. ეს დასი წარმოდგენებს გამართავს განჯასა, ბაქოსა, ყარსსა, ალექსანდროპოლსა და ერევანში; სულ გაიმართება 10 წარმოდგენა. აღდგომამდე ეს დასი ტფილისში დაბრუნდება. აღდგომის შემდეგ მთელი დასი დარჩება ცოტა ხნით ტფილისში, სადაც გაიმართება რამდენიმე წარმოდგენა. შემდეგ, როცა პირველი ჯგუფი ქუთაისის გუბერნიისაკენ წავა, მეორე კახეთისაკენ გაემართება—თელავსა, სიღნაღსა, მაჩხაანსა და სხვაგან. სულ კახეთში გაიმართება 8 წარმოდგენა.

ამ რიგად ტფილისს გარედ სხვა-და-სხვა ადგილას გაზაფხულ-ზაფხულის განმავლობაში გაიმართება სულ 57 წარმოდგენა. გამგეობისა და კომისიის შეერთებულ კრებას შეუდგენია დაწვრილებით გეგმა დასის გაგზავნისა, წარმოდგენების მართვისა და სხვა. გამოურკვევია აგრეთვე ხარჯი და შემოსავალი. ხარჯი, როგორც გამოანგარიშებულია, იქნება 6200 მანეთი (არტისტების ჯამაგირს გარდა, ეს ჯამაგირი დაახლოვებით იქნება 2000 მანეთამდე), შემოსავალი—7,600 მანეთი. ამ რიგად შემოსავალი თითქმის სულა ჰფარავს ხარჯს. შეერთებულმა კრებამ საჭიროდ სცნო აგრეთვე, რომ საზოგადოებამ განსაკუთრებული აგენტები იყოლიოს პროვინციაში, რომელთაც წარმოდგენების მართვისა და სხვა მხრივაც დახმარება უნდა აღმოუჩინონ გამგეობას. თუ ეს პროექტი საზოგადო კრებამ მოიწონა, გამგეობა მომავალ წლიდან შეუდგება იმის განხორციელებას.

დრამატიულ საზოგადოების მიერ განხილული საქმე დიდად საყურადღებო და მნიშვნელოვანია. საჭიროა ამ ძნელ საქმის განსახორციელებლად საზოგადოებას პროვინციამაც მხარი დაუჭიროს.

—

დღეს, 20 აპრილს, ქართული დრამატიული დასი ჰმართავს იაფ-ფასიან წარმოდგენას. უნდა წარმოადგინონ ბ—დის ისტორიული პიესა „მურად-ფაშა“, რომელიც პირველ წარმოდგენის დროს საზოგადოებას მოეწონა. მონაწილეობას იღებს მთელი დასი.

—

დღეს, 20 აპრილს, სცენის მოყვარენი ავლაბარშიაც ჰმართავენ წარმოდგენას სცენის მოყვარის გ. გედიკურაშვილის პატივსაცემლად. წარმოადგენენ „ძუნწს“, „გაცრუებულ იმედებს“ და „მათიკოს“. ბოლოს აპოთეოზი გაიმართება.

წერილი ყვირილიდან

სალიტერატურო საღამო.—საკვირაო სკოლა.—
კონცერტი და საცეკვაო საღამო

28 მარტს აქაურ ქალების სამრევლო სკოლის დარბაზში, მასწავლებელთა მეთაურობით, გაიმართა სალიტერატურო საღამო, რომელიც შესდგებოდა სამის განყოფილებისაგან: ა) „დედა და შვილი“, ილია ჭავჭავაძისა; ბ) ქართულ-რუსულის ლექსების კითხვა და გ) ქართული სიმღერები, შესრულებული მასწავლე ქალთა გუნდის მიერ. „დედა და შვილის“ წარმოდგენა სუსტობდა და თანაც სცენაც არ იყო რიგიანად მოწყობილი. ლექსების კითხვამ და სიმღერებმა კარგად ჩაიარა. ხალხი ბლომად დაესწრო და ნასიამოვნებიც დაბრუნდა. სასურველია, მასწავლებლებმა შემდეგშიაც გამართონ ამგვარი საღამოები.

4 აპრილს აქაურ ახალგაზდებს კრება ჰქონდათ საკვირაო სკოლის დაარსების შესახებ მოსალაპარაკებლად. კრებაზე ბევრნაირი აზრი გამოითქვა. ბოლოს კრებამ აირჩია სამი მასწავლებელი, რომელთაც უნდა შეჰკრიბონ დაწვრილებითი ცნობანი და წარმოუდგინონ შემდეგ კრებას.

12 აპრილს მაზრის სამმართველოს დარბაზში გალობის მოყვარულთა გუნდის მიერ, ს. ჯანაშვილის ლოტბარობით, გაიმართა კონცერტი ადგილობრივ წიგნთ-საცავ-სამკითხველოს სასარგებლოდ. წიგნთ-საცავს დარჩა 33 მანეთი. საღამოს გამგე იყო ქ-ნი ზედგინიძისა, რომელიც აგერ სამი თუ ოთხი წელიწადია ჰმართავს საღამოებს წიგნთ-საცავ-სამკითხველოს სასარგებლოდ.

სავულიელი.

წერილი თელავიდან

მეჯლისი „ქ. შ. წ. გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ.

„ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოებას“ მოწყალის თვალით გადმოხედა წელს ზემო-კახეთმა. მართალია, წ. კ. საზოგადოება წლოვანებით მეორე ათეულშია, მაგრამ ზემო-კახეთს ორჯელ მეტად არ გახსენებია იგი ამ ნაირად, როგორც აპრილის 10 გაიხსენა. მე ამის მიზეზების გამოძიებას არ შეუდგები, ვიტყვი მხოლოდ, რომ თელავისა და იმასთან ერთად სოფლების საზოგადოებანი ყურადღებით და დროის შესაფერის ერთგულებით მიეგებნენ „წ. კ. საზოგადოების“ სახელით გამართულს მეჯლისს. გამმართველებიც იყვნენ თამარ ალექსანდრეს ასული აბაშიძისა, მარიამ თავად ესტატეს ასული ვახვახიშვილი, ბ-ნნი დიმიტრი ახვლედიანი და ვასილ კახიძე. ამათ მრავალნი ეშველებოდნენ და მრავალთა შორის არ შეიძლება მადლობით არ დავასახელოთ ბ-ნნი ხუდაბაშოვი და აჯამაშვილოვი, რომელთაც მშვენივრად მორთეს და მოაწყვეს სამეჯლისო დარბაზი თელავის კლუბისა.

ეს ახლად აშენებული შენობა, აღდგომის დღესასწაული და ზედ „მეჯლისი ყვავილებისა“ ანუ „ყვავილების დღესასწაული“ სწორედ რომ შესაფერი იყო, თუ არ მივიღებთ მხედველობაში აღდგომის სამ დღეს გაბმულ დღეობებს, რითაც საზოგადოება დაღალულ-დაქანცული იყო; იმას გარდა, რომ ჯიბესთანაც არ იქმნებოდა თამამად, თვით ტარითაც გზაზე ელობებოდა სოფლებიდან მოსვლის მსურველებს. მაგრამ ამის მიუხედავად „ყვავილების დღესასწაულს“ საკმარისად დაესწრო საზოგადოება. თვით თელავისა და სოფლებიდანაც ბლომად მოვიდნენ. სომხებმა მხარი მოგვცეს ამ საქმეში და მადლობა დაიმსახურეს. აგრეთვე მადლობით მოეგებნენ საუფლისწულო მამულების გამგებლის ბ-ნ გურიელოვის და იქვე მოსამსახურე ბ-ნ აგზარენკოსაგან გამოგზავნილ სხვა-და-სხვა მშვენიერ ტოტსად ყვავილებს.

მეჯლისის დამთვალიერებელი უნებურად იტყოდა: „მართლა ყვავილების დღესასწაული ყოფილაო“. დაინახავდა: ერთს მანდილოსანს მთელ მკერდზე წალკოტი გაუშენებია, მეორეს თავზედ გაცნობით ეკეთა ყვავილებს, რომლებსაც ამ დროისთვის მოუსწრია გაშლა, მესამის მკერდს ირიბად გატარებული ყვავილების ლენტი ამშვენებდა და სხვ. ერთის სიტყვით მეჯლისი იყო, მეჯლისი ყვავილებისა. მეჯლისზე გაიმართა ფოსტა და ჯეროვანის სისწრაფით რიგდებოდა წერილები.

მეჯლისის შემოსავალი იყო 480 მანეთამდის, ხარჯი 130 მან., დარჩება წმინდა შემოსავალი 350 მან. დიდის მადლობის ღირსნი არიან როგორც მოთავენი, რომელთაც დიდი შრომა მიუძღვით, ისე ყველანი, ვინც ხელი შეუწყეს ნივთიერ შეწირულებებით, თუ პირადი შრომით.

იმედია, ზემო კახეთი წელიწადში ერთხელ მუდამ გაჰმართავს „წ. კ. საზ.“ სასარგებლოდ რასმე და ამას აუცილებელ ხარჯად დაიწერს.

ნადიკვრელი

დაბა-სოფლები

სოფ. სტეფანწმინდა (ხევი). სოფ. სტეფანწმინდა ამ 6—7 წლის წინად ისეთ წმინდა სახელს ატარებდა, რომ გარეშე სოფელნი სტეფანელობას იჩემებდნენ თუ სადმე უცნობ ადგილას მოჰხვდებოდნენ. თვით სტეფანელებსაც იმ დროს თავი მოჰქონდათ ყველგან და ამაყობდნენ სიმართლით, პატიოსნებით, სინიდისიერობით, გულწრფელობით. მაგრამ ცხოვრების ჩარხი უკუღმა გადატრიალდა და ჯერაც არ შეჩერებულა. წინად თუ სხვა სოფლელნი სტეფანელობას იჩემებდნენ, ეხლა სტეფანელები სხვა სოფლების სახელს იჩემებენ, თუ სადმე უცნობ ადგილს მოჰხვდებიან. რა ბოროტ-მოქმედებას იტყვით, რომ აქ არა ხდება: ცხენებისა და სხვა საქონლის ქურდობა, კაცის კვლა, ცილის წამება და სხვა მრავალი უწესოება ზოგიერთებს თითქმის ჩვეულებად გადაჰქცევიათ. ერთმა რომ მეორეს სულ უბრალო სიტყვით აწყენინოს, პირველი მეორისკენ უთუოდ უნდა ელოდეს ან ცხენის მოპარვას, ან საქონლის მოკვლას, თითონაც უნდა მღვდელს გაენდოს და წმინდა საიდუმლო მიიღოს. ბოროტ მოქმედება იმ ზომამდე მივიდა, რომ სტეფანელებს ხალხის თვალში სახელი გაუტყდათ და ყველას ავაზაკად სთვლიან. მერე ამ საქმეს სულ 7—8 კაცი ჩადის. ამ გვარად იჩაგრება უსამართლოდ პატიოსნებისა, შრომისა და მშვიდობის მოყვარე ხალხი, წერა-კითხვის მცოდნენი, უსწავლელნი, ხელოსანნი და მიწის მუშანი, რომელნიც სცხოვრობენ უფრო დღიურის ჯაფით, რომელთაც აღარსად სამუშაოდ აღარ იღებენ. ამ რიგად 5-6 კაცისაგან მთელი სოფელი გათახსირდა, ჭუჭყი მოეცხო და ალალ-მართალ ხალხსაც ავაზაკური შეხედულობა მიეცა. შეწუხებულმა ხალხმა, სხვა რომ ვეღარა იღონა-რა, შარშან 4 კაცი მოიშორა თავიდან განაჩენით. მას უკან ბევრი აღარა მომხდარა-რა, მაგრამ ზოგიერთებს კიდევ ეტყობათ პარტიობა და თუ საზღვარს გადაალაჯეს, იქნება საზოგადოებამ არც ამათთვის დაიშუროს რკინის გზით გასაგზავნად 10-15 თუმანი.

მეთუხლეურე.

სასამართლო

„ნოვ. ობოზრენიეს“ საქმე.

გუშინ, 19 მარტს, სამოსამართლო პალატამ გაარჩია საქმე გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეს“ რედაქტორის თავ. გ. მ. თუმანოვისა, რომელსაც დიფამაცია ჰბრალდებოდა. 1902 წლის 3 ივნისს სურამში დიდ-ძალი ხალხი შეკრებილა ტფილისაკენ მატარებლით წამოსასვლელად. სხვათა შორის, სადგურზე მისულა თავ. გიორგი ოთარის ძე ამილახვარი თავის სახლობით. იმ დროს,

როცა იგი ავადმყოფ შვილს ვაგონში სვამდა, მისულა იმასთან გორის მაზრის უფროსის თანაშემწე ნაბიბეკოვი და მოუთხოვნია საერთო გარდასახდის დარჩენილ ფულის გადახდა. ასეთ უადგილო-ადგილას გარდასახადის მოთხოვნა თავ. ამილახვარს ეუცხოვა თურმე და ნაბიბეკოვისათვის უთქვამს, აქ ადგილი არა აქვს თქვენს ასეთ მოთხოვნილებას. ჩემს სახლში მოდით და იქ მითხარით, რაც გნებავთ. ამაზე შეჭკუდიან დამარცხვს, რომლის დროსაც ერთმანერთზედაც მიუვარდნიათ. საქმის ასეთი ვითარება „ნოვოე ობოზრენიეს" კორესპონდენტს აღუნიშნავს გაზეთის ერთ ნომერში. კორესპონდენტი ამბობდა იმასაც, რომ მაზრის უფროსის თანაშემწემ უადგილო-ადგილას მოსთხოვა ფული, ამით გაამწვავა თავ. ამილახვარი და თვით პირველმა დაარღვია საზოგადო მყუდროება. კორესპონდენციას ბ-ნ ნაბიბეკოვს შეურაცხყოფად მიუღია და საჩივარი აღუძრავს რედაქტორის პასუხის გებაში მისაცემად.

პალატაში თავ. თუმანოვს გუშინ იცავდა ნაფიც ვექილის თანაშემწე პ. მ. დოლუხანოვი. ამ საქმის გამო დაბარებული იყო ერთად-ერთი მოწმე თვით ნაბიბეკოვი. ბრალდებულის დამცველმა ბ-ნმა დოლუხანოვმა კარგა ხანს ილაპარაკა. მოკლედ დაასურათა საქმის გარემოება და შემდეგ შეეხო იმას, კორესპონდენციის მოთავსებისათვის რამდენად დამნაშავეა რედაქტორი. დღიურ პრესას კანონით ნება აქვს დაწვრილებით აღნიშნოს უეჭველად ის, რაც ნამდვილად მომხდარა და ამით შეძლებს მისცეს მკითხველ საზოგადოებას თვალ-ყური ადევნოს თანამედროვე ცხოვრების ავ-კარგს. კორესპონდენტი კანცელარიის მოხელე ან პოლიციის ბოქაული არ არის, რომ ოქმი შეადგინოს და სიტყვა-სიტყვით აღნიშნოს, რაც მომხდარა. ნება აქვს ისარგებლოს რომელისამე ფაქტით და გაზეთს მოაწოდოს ის, რასაც საინტერესოდ სცნობს, მხოლოდ ისე კი, რომ სიმართლეს გვერდი არ აუხვიოს. „ნოვ. ობოზ."-ს კორესპონდენტიც სწორედ ასე მოიქცა. ბ-ნი ნაბიბეკოვი შეურაცხყოფად სცნობს თავს კორესპონდენციის იმ ადგილით, სადაც აღნიშნულია, რომ ნაბიბეკოვი „მოურავ კომპანიაში" იყო და უადგილო მოთხოვნებით გააბრაზა თავ. ამილახვარი. კორესპონდენციის ეს ადგილი-კი სიმართლეა. სხვათა შორის, ეს ოლქის სასამართლოსა და პალატის იმ განაჩენებიდანაც სჩანს, რომელიც ეხება პასუხის გებაში მიცემულ თავ. ამილახვრის საქმეს. სიმართლისთვის რედაქტორის დასჯა როგორ შეიძლება! ამით ხომ კიდევ უფრო ფრთები შეეკვეცება ისედაც შევიწროებულ პრესასა?

პალატამ, ერთის საათის თათბირის შემდეგ, გამოაცხადა განაჩენი, რომლითაც თავ. გ. მ. თუმანოვი დამნაშავედ იცნო და მიუსაჯა 15 მანეთის ჯარიმის გადახდა.

წვრილი ამბები

მაიმუნის მსგავსი კაცები. ამას წინად ავსტრალიის გენერალ-გუბერნატორისთვის ერთ ადგილობრივ ადმინისტრატორს საინტერესო მოხსენება წარუდგენია. მოხსენებაში ადმინისტრატორს აწერილი ჰყავს ერთგვარი ხალხი, რომელიც საოცრადა ჰგავს თურმე მაიმუნებს. ეს ხალხი სცხოვრობს ახალ გვინეას ჭაობებში, სადაც სახლები მაღალ ბოძებზე აქვთ აგებული. წყალში სასიარულოდ პატარა, უხეიროდ გაკეთებულ ნავებსა ჰხმარობენ; ცურვა კარგად იციან თურმე. თავიანთ ჭაობებს იშვიათად ჰშორდებიან და ამ გარემოებას განსაკუთრებული ბეჭედი დაუსვამს ამ ხალხზე: მიწაზე სიარული თითქმის არ ეხერხებათ. ხსენებული ადმინისტრატორი ასე აწერს ამ ჭაობის მკვიდრთ: „იქაური მამაკაცი ბევრად უფრო მაღალი გამოჩნდებოდა, რომ ქვედა ტანი შეეხამებოდეს და შეეფერებოდეს ზედას. ფეხები ძალიან მოკლე აქვს გრძელის თითებით. დედაკაცებს ფეხის თითები უფრო გრძელი აქვთ. საზოგადოდ აგებულობით აქაურნი ძალიანა ჰგვანან მაიმუნებს".

დეპეშა

(რუსეთის ტელეგრაფის სააგენტოსაგან)

18 აპრილი

პეტერბურგი. „კანონთა კრებულში" გამოცხადებულია, რომ მისმა იმპერატორობითმა უდიდებულესობამ ველიკორუსთა ორკესტრი თავის უმაღლეს მფარველობის ქვეშ მიიღო.

ხარკოვი. საპყრობილეთა უმთავრეს მმართველობის უფროსსა, ადგილობრივ სასამართლოებისა და ადმინისტრაციის უმაღლეს მოხელეთა თანადასწრებით გახსნეს პირველი, 17 მარტის კანონის თანახმად ციმბირში გაგზავნის გაუქმების გამო დაწესებული ტუსაღთა განყოფილება. საპყრობილეთა ადგილობრივ კომიტეტის დირექტორმა კოვალენკომ 6,000 მანეთი შესწირა განყოფილების ეკლესიის რიგზე მოსაწყობად.

ასტრახანი. სინჯის ტალახით საავადმყოფოში სეზონი 25 მაისიდან გაიხსნება.

ლონდონი. „ტაიმს"-ს სწერენ პეკინიდან: ადმირალ ალექსეევმა გამოაცხადა, რუსეთისაგან დაცლილ მუკდენის პროვინციაში უცხოელებს ურუსის-პასპორტოდ შეუძლიათ მოგზაურობა.

ბანკუვერი. ფრანკიდან მოსულ უკანასკნელ ცნობების თანახმად, უბედურება მთის მოზვავებას მოუხდენია. ტყუილი ვულკანიური ბოლი ჩამოწოლილი მიწის მტვერი ყოფილა. მოკლულთა რიცხვი 95; ტელეგრაფის მავთულები გაწყვეტილა. უბედურების დროს 17 მაღნის მუშა ნანგრევებ ქვეშ მოჰყვა. ამათგან 2 კაცი დამხრჩვალა.

ზემლინი. სერბიის საზღვარზე რისტოვაცის პირდაპირ, სადაც არც ერთი ალბანელი არაა და აღელვებაც არას დროს არ მომხდარა, უცებ ოსმალოს ჯარის ბატალიონი მოვიდა და მაგარ ადგილას დადგა. სერბიის საზოგადოება ძლიერ გააკვირვა და აღელვა ამ მოულოდნელმა უსაბუთო საქციელმა. იმედი აქვთ, რომ ბატალიონი ისევ წავა აქედან და სახელმწიფოებიც ხელს შეუწყობენ ბატალიონის წასვლას. სერბიის მთავრობა წინანდებურად თავ დაჭერით და რიგზე მოიქცევა.

რეფორმების წინააღმდეგი და დაკოვოში წასული რიზა-ბეი, ხონთქრის ბრძანებით უსკუბში დაიბარეს და იქ ციხეში ჩასვეს. ეს პირველი მაგალითი იქმნება, რომ ალბანელთა მეთაურს ციხეში ჰსვამენ.

ალბანელებმა გამოაცხადეს, პრიშტინის ახლო კრებას მოვახდენთ რეფორმების წინააღმდეგაო. ომერ-ფაშა იმუქრება, ჯარის შემწეობით გავფანტავ ალბანელთა კრებასაო.

ოსმალეთმა გამოაცხადა: ჟანდარმის ათეულებში ევროპიელების რიცხვს თორმეტამდე ავიყვანთო.

ვარონეჟი. აღდგომის პირველ დღეს, სოფელ ბუტურლინოვკაში „ხლისტების" ღვთისმშობელი დაიჭირეს; ხლისტების დევნით აღშფოთებულმა მეზობლებმა ყველა ხლისტები დაიჭირეს.

მარსელი ამერიკის ესკადრის ადმირალი და ამერიკის 4 გემის უფროსები მიესალმნენ დუბეს და გამოაცხადეს: მოხარულნი ვართ, ამერიკის ერისა და პრეზიდენტის სახელით საფრანგეთს გულითადი სალამი გადასცეთ და დუბეს ბედნიერება ვუსურვოთო. დუბემ უპასუხა: თქვენმა სალამმა ძლიერ ამაღელა და საფრანგეთიც რიგზე დააფასებს თქვენს მოლოცვასო. საღამოს 7½ საათზე პრეზიდენტი პარიზში წავიდა.

19 აპრილი.

პარიზი. მეფე ედუარდი 3 საათზე მოვიდა. სადგურზე მეფის დასახვედრად მოსულ მოხელეთა და მინისტრთა წარდგენის შემდეგ, პრეზიდენტი და ინგლისის მეფე ინგლისის საელჩოში წავიდნენ. გზაზე ურიცხვი ხალხი სალამს აძლევდა. დილით მეფემ ელისეს მინდვრები დაათვალიერა და დაბრუნების შემდეგ ინგლისის სავაჭრო პალატა მიიღო.

ბუდაპეშტი. დეპუტატთა პალატა. მინისტრ პრეზიდენტმა სელმა შემოიტანა მოხსენება შესახებ იმ განკარგულებათა, რომელნიც მიღებულ იქმნენ დროებით ბიუჯეტის კანონ-პროექტის დაუმტკიცებლობის გამო. პოლონი (კოშუტის პარტიის) აცხადებს, რომ მოხსენება წარმოადგენს განკარგულებას, რომელიც არის შედეგი კონსტიტუციის დარღვევისა. ამიტომ პალატამ არ უნდა განიხილოს ეს მოხსენება. სელი თავის დაცვას სცდილობს. დიდი ხმაურობა ასტყდა. სხდომა შესწყდა. სხდომის შემდეგ მინისტრმა სიტყვა განაგრძო და, როგორც იყო, დაათავა კიდეც. რადგანაც სელმა ხელ-ახლად დაიწყო ლაპარაკი, ხმაურობა ისევ ასტყდა. სხდომა ხელმეორედ შეწყდა. სხდომის შეწყვეტის შემდეგ სელმა განაგრძო სიტყვა, თუმცა ხმაურობას არ შეუწყვეტია. ისმოდა ხმები იმაზე, რომ სელს თავის კანონ-პროექტი უკან წაეღო. ხალხი ძლიერ აღელვებული იყო, როდესაც კრება დაიშალა.

ლონდონი. „ტაიმს"-ს კანტონიდან ატყობინებენ, რომ ხუთ ამერიკელს და ხუთ იაპონელ ოფიცერს, რომელნიც რკინის გზის გაყვანაზე მსახურებენ, იუანტანთან ბრბო თავს დაესხა. ოფიცრები ტაძარში შეიხიზნენ და სანგრები გამართეს. ამერიკელმა ელჩმა სამხედრო გემი გამოიწვია; ჩინელთა ჯარებიც იქით წავიდნენ.

სამაკოვი. მაკედონიიდან ატყობინებენ, რომ ჯარი ალბანელების წინააღმდეგ ასე განაწილეს: მიტროვიცაში—20 ბატალიონი, პრიზრენში—30, პრიშტინში, გილიანში, ვუჩიტრნში და იპეკში თითო-თითო და დიაკოვში—1; სულ კი 63,000 ქვეითი, 2000 კავალერია და 96 ზარბაზანი.

მიუნხენი. საქსონიის მეფე შტუტგარტში წავიდა.

პარიზი. დღეს დილით დუბე აქ დაბრუნდა.

კონსტანტინეპოლი. იმ დეპეშების თანახმად, რომელიც პორტამ მიიღო, დღეს სალონიკში სრული მშვიდობიანობაა.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი**

გამოსაკვები ცხრილი

მიმოსვლა რკინის გზების მატარებლებისა

18 აპრილიდან

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს: 1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის 9 ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 5 ს. 20 წ. (6 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 51 წ. (7 ს. 49 წ.).

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 3 ს. 26 წ. (4 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 34 წ. (11 ს. 32 წ.).

ყარსსა და ერევანს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 32 წ. (12 ს. 30 წ.); 2) სამგზავრო № 90/91 შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.).

ბორჯომს; 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.); 2) სამგზავრო № 9/10 დილის 5 ს. 23 წ. (6 ს. 21 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 23 წ. (10 ს. 21 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 9 ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.).

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე, პარასკევობით, მოსკოვიდან მომავალი) ღამის 3 ს. 42 წ. (4 ს. 40 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 9 ს. 18 წ. (10 ს. 16 წ.); 3) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 1 ს. 03 წ. (2 ს. 01 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.) 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.); 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.); 3) დღის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

შორაპნისაკენ: დღის 2 ს. 10 წ. (3 ს. 8 წ.).

განცხადებანი

სხვა-და-სხვა ჯგვარის
საუკეთესო
ო-დე-კოლონი
№ 4711
რეინის თაიგულები
უმჯობესი ხანგრძლივი და იაფი დუხები ცხვირსახოცებისათვის
ყოველგვარ ყვავილის სუნელებისა.
(მც. 3.—7)

ქუთაისში
სამ. ბ. თოფურიას
სამკურნალო,
რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოშია 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო რა ღებულობს. (0—25)

დაიბეჭდა და იყიდება
ყოველგან ქართულ წიგნების მაღაზიებში
ახალი ქართული წიგნი
დიდი მოურავი
გიორგი სააკაძე
გ. ხუნუაშვილისა
ჰღირს 80 კ. ვინც ოც ანუ ოც ცალზე მეტს იყიდის, იმას თითო წიგნი დაეთმობა ათ შაურად. მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ქართველთა ამხანაგობის სტამბაში გალუსტა შიხიაშვილს. (5—6—3)

იძლევა ქირით
მდინარე ვერის გაღმა
სახლი.
ხუთი ოთახია ყოველგვარ მოწყობილებითა და ბაღით, რომელიც ბუფეტისთვის გამოდგება. მსურველმა უნდა იკითხოს გრეგუარის საპარიკმახეროში, სოლოლაკის ქუჩაზე. (3—73—3)

გამოვიდა და იყიდება
ყველგან
„ქართ. შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების" მიერ
ახლად გამოცემული წიგნი
ბარტეკ ძლევამოსილი
ჰენრიკ სენკევიჩისა
IV+106 გვ
ფასი 20 კაპ. (უ. 3—1)

წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში
იყიდება 1903 წლის
კალენდრები
1) კედ. კალენდარი ფასი 40 კ.; 2) საქართველოს კალენდარი გუნიასი—60 კ. უყდოდ და 70 კაპ. ყდით. 3) პატარა ჯიბის კალენდარი—20 კ. 4) ჩირქვიანის გამოც. კედლის კალენდარი 40 კაპ.
შეიძლება ფასდადებით გაიწეროთ: Тифлисъ, Грузинское Издательское Т—во, ლორის-მელიქოვის ქუჩა.

ამ წლის მაისის თვეში ტფილისში გაიმართება „ქართველთა შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" სასარგებლოდ
სახალხო სეირნობა
საქველმოქმედო ბაზრითურთ.
შემოწირულებათა გამოგზავნა ამ ბაზრისათვის შეიძლება კნ. ოლღა თადეოზის ასულის ჭავჭავაძისთან, (ნიკოლოოზის ქუჩა, № 21) და ქართ. შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში (სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურობის ქარვასლა). (0—11)

სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე
ფარმაცევტთა ამხანაგობა
ტფილისი
(კავკასიის მუზეუმის პირდაპირ „სევერნიე ნომრების" ქვეშ).
ტელეფონი № 741
აწარმოებს ვაჭრობას ნარდად და წვრილმანად დილის 8 ს. საღამოს 9 საათამდე. საწყობში ყოველთვის მოიპოვება საუკეთესო თვისების სააფთიაქო და ქიმიური საქონელი მზა წამლები (პატენტ-მიღებული), სადოსტაქრო იარაღი და შესახვევად სახმარებელი ნივთიერება, სადეზინფექციო (ჰაერის გასაწმენდი და ჭირის მოსასპობი) წამლები, აფთიაქის და ლაბორატორიისთვის მოწყობილობა, ეთერიანი ზეთები, ბუნებრივი ლითონიანი სხვა-და-სხვა წყალი და მარილი, მრავალ გვარი და მრავალ ფერიანი საპირფარეშო სამკაული, თმის და თვალ-წარბის საღებავი, საზღვარ-გარეთის და რუსეთის საუკეთესო ფირმების კეთილ სურნელოვანი საქონელი—პარფიუმერია-კოსმეტიკა (დუხი, ოდეკოლონი, ხელი საპნები და სხვ.), ოჯახში სახმარებელი ნივთები—სარეცხისთვის, სამზარეულოსთვის და სხვ.-და-სხვა.
ადრესი ფოსტისა და ტელეგრამისა: Тифлисъ. Товарищество фармацевтовъ. (100—23)

Дозв. ценз. Тифлисъ, 19 апрѣля, 1903 г. ელექტრონის სტამბა წიგნ. გამ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва)